საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1002 2016 წლის 6 ივნისი ქ. თბილისი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის ტერიტორიული ორგანოს - ყვარლის სასწავლო ცენტრის ეზოში ხის იატაკისა და ბეტონის ფილების ზედაპირის ქვიშა-ცემენტის ხსნარში მოწყობის სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის მიერ სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის ტერიტორიული ორგანოს - ყვარლის სასწავლო ცენტრის ეზოში, 578 კვადრატულ მეტრზე, ხის იატაკისა და ბეტონის ფილების ზედაპირის ქვიშა-ცემენტის ხსნარში მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი